ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7

2026 წლის 28 იანვარი

ქ. ქუთაისი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23.01.2018, №90020020.35.123.016426), კერძოდ, შეიცვალოს დადგენილების №2 დანართი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

(№2 დანართი წინამდებარე დადგენილებას თან ერთვის)

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის პირველი თებერვლიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ჭიღვარია**

დანართი №2

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა ნუსხის შესახებ

მუხლი 1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულია 1 პირი – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საკრებულოს აპარატის უფროსი – თანამდებობრივი სარგოს ოდენობა 3900 ლარი.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურეები

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია 12 მოსამსახურე. მათ შორის:

ა) საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე – 1 ერთეული;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანაშემწე – 1 ერთეული;

გ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე – 2 ერთეული;

დ) მოწვეული სპეციალისტი – 6 ერთეული;

ე) სპეციალისტი (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი) – 1 ერთეული;

ვ) დამხმარე მოსამსახურე – 1 ერთეული.